ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 21

30 ივნისი, 2023 წელი

13:00 სთ

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N 2

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძე

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები

თინათინ ნიბლოშვილი

მარიამ ზაქარიაშვილი

შალვა ოგბაიძე

კომისიის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებს:

დღის წესრიგი

1. ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში გიორგი ჩიტაიას ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული უსახელო სკვერისთვის გია მოსეშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
2. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, რამაზ ჩხიკვაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის გურამ ფირცხალავას სახელის მინიჭების შესახებ.
3. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, სოფელ ფონიჭალაში ბაგრატის ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის ბაგრატის I -ის გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ.
4. ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ავშნის ქუჩის გაგრძელების შესახებ
5. ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მალხაზ ჯღარკავას I შესახვევის გაგრძელების შესახებ.
6. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, კობა აბზიანიძის ქუჩისთვის სოსო ღვინიაშვილის სახელის მინიჭების შეხახებ.
7. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, თენგიზ ჩანტლაძის ქუჩის მონაკვეთისთვის კობა აბზიანიძის სახელის მინიჭების შესახებ.

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებთან ერთად დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი განიხილა.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო პირველი საკითხი, რომელიც შეეხება ჩუღურეთის რაიონში გიორგი ჩიტაიას ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული უსახელო სკვერისთვის გია მოსეშვილის სახელის მინიჭებას. გია მოსეშვილი არის სამაჩაბლოში დაღუპული მებრძოლი, თბილისის სახელმწიფო ობიექტებისა და დაწესებულებების ლეგიონის მილიციის უმცროსი სერჟანტი, დაიღუპა 1991 წელს ზნაურის რაიონის სოფელ ავნევში ოს სეპარატისტებთან შეტაკების დროს. 2007 წლის 17 სექტემბერს სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით. კომისიის წევრებმა საკითხს დადებითი რეკომენდაციია მისცეს.

მეორე საკითხი შეეხება ვაკის რაიონში, რამაზ ჩხიკვაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის გურამ ფირცხალავას სახელის მინიჭებას. გურამ ფირცხალავა იყო მსახიობი, საქართველოს კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, ღირსების ორდენის კავალერი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს, რომელსაც კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს.

დღის წესრიგით წარმოდეგენილი მესამე საკითხით კრწანისის რაიონში, სოფელ ფონიჭალაში ბაგრატის ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელს ბაგრატის I-ის გასასვლელის სახელი მიენიჭება. კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს აღნიშნულ საკითხს.

ასევე დადებითად გადაწყვიტა კომისიამ მეოთხე და მეხუთე საკითხები, რომლებიც შეეხება ნაძალადევის რაიონში მდებარე ავშნის ქუჩისა და მალხაზ ჯღარკავას I შესახვევის გაგრძელებას.

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგით წარმოდგენილი მეექვსე საკითხი, რომელიც შეეხება სამგორის რაიონში, კობა აბზიანიძის ქუჩისთვის სოსო ღვინიაშვილის სახელის მინიჭებას.იგი იყო აგვისტოს ომში დაღუპულო მებრძოლი, კაპრალი, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენის კავალერი.

კომისიამ დადებითი რეკომენდაცია გაუწია აღნიშნულ საკითხს.

დღის წესრიგით წარმოდგენილი მეშვიდე საკითხით სამგორის რაიონში, თენგიზ ჩანტლაძის ქუჩის მონაკვეთს კობა აბზიანიძის სახელი მიენიჭება. იგი არის აფხაზეთში დაღუპული მებრძოლი, ლეიტენანტი. 1992 წლის 28 აგვისტოს იგი ავღანეთის სპეცასეულთან ერთად გაემგზავრა აფხაზეთში. 3 ნოემბერს გმირულად დაიღუპა სოფელ შრომასთან დაჭრილი თანამებრძოლის, ვაჟა ბანეთიშვილის ბრძოლის ველიდან გამოყვანის დროს. კომისიამ დადებითი გადაწყვიტა აღნიშნული საკითხი.

ნინო ვარდოსანიძის განცხადებით, წარმოდგენილი საკითხები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ინიციატივებად დარეგისტრირდება საკრებულოს წინაშე, რეგისტრაციიდან არაუადრეს 20 დღისა გაიმართება საჯარო განხილვა და ამის შემდგომ მოხდება საკრებულოს სხდომაზე გატანა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

ნინო ვარდოსანიძე